ფინანსური დარღვევები სპორტულ ფედერაციებში და მათზე რეაგირების გაუმჯვირვალე პროცესი:

რაგბის კავშირის მაგალითი

Supported by

Luminate

Building stronger societies

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადებულია პროექტის - „კარგი მმართველობის გაძლიერება საქართველოში 3G“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის მიერ. ანალიზის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). ანალიზსი გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის პოზიციას.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 4
შესავალი 5
აუდიტის პროცესის მიმოხილვა 7
აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევების მიმოხილვა 10
აუდიტის შედეგებზე რეაგირება 14
აუდიტის პარალელურად რაგბის კავშირში განვითარებული მოვლენები 16
დასკვნა 18

ძირითადი მიგნებები

- 2021 წლის 16 მარტს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე გამოყოფისა და მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ, მნიშვნელოვნად შესუსტებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მათი ფინანსებისა და კორუფციული რისკების მონიტორინგის შესაძლებლობა.

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი დაფინანსების მქონე სპორტული ფედერაციის, რაგბის კავშირის მიერ აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულებისა და საქართველოს პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების პროცესების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

- 2018 წლიდან დღემდე, აუდიტის სამსახურმა 65 მოქმედი სპორტული ფედერაციიდან მხოლოდ 4-ის შემოწმება შეძლო, რაც მსგავსი ორგანიზაციების კონტროლის მექანიზმად მხოლოდ აუდიტის გამოყენების არაეფექტურობაზე მიუთითებს.

- აუდიტის სამსახურის მიერ რაგბის კავშირის შესყიდვებში გამოვლენილი დარღვევების შემდეგ, პროცესში მონაწილე რაგბის კავშირთან დაკავშირებულ კომპანიებში წილების განაწილება და მფლობელები შეიცვალა.

შესავალი

საბიუჯეტო სახსრების განკარგვის გამჭვირვალობისა და მიზნობრიობის კუთხით, ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ უწყებებს სპორტული ფედერაციები წარმოადგენენ. საქართველოში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები ვერ უზრუნველყოფს სპორტული ფედერაციების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტებს. შედეგად, მნიშვნელოვნად გართულებულია მსგავსი უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება და მათზე სრულფასოვანი მონიტორინგის განხორციელება.

წლების განმავლობაში, სპორტული ფედერაციებიდან ინფორმაციის მიღების შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებით, მათი მონიტორინგის გარკვეულ საშუალებას ზედამხედველი სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვა წარმოადგენდა. მაგალითად, 2019 წელს IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა „კორუფციის რისკები ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში", რომელიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მიღებულ საჯარო ინფორმაციას ეყრდნობოდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა როგორც სავარაუდო ფინანსური დარღვევები, ასევე მნიშვნელოვანი კორუფციული რისკები.

2021 წლის 16 მარტს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე გამოყოფისა და მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ, IDFI-ს სამინისტროდან მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე (მათ შორის, ფედერაციებთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე) პასუხი აღარ მიუღია. მაგალითად, სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა რაგბის კავშირის მიერ 2017-2021 წლებში სამინისტროსათვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშების, დამტკიცებული ბიუჯეტების და მათი შესრულების ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ თეა წულუკიანის მინისტრობის დროს, იგივე პრობლემა არსებობდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაშიც, რომელიც წლების განმავლობაში IDFI-ს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანგარიშებში ერთ-ერთ ყველაზე დახურულ უწყებად სახელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ახალმა მინისტრმა, მოვალეობის შესრულების პირველივე დღეს განაცხადა, რომ სპორტული ფედერაციების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შესახებ დაისმებოდა ლეგიტიმური კითხვები, თუ რამდენად ეფექტიანად და მიზნების შესაბამისად იხარჯებოდა თანხები და ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი გახდებოდა ფედერაციებში ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვა. მიუხედავად აღნიშნული განცხადებისა, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. მაგალითად, სამინისტრომ თავი შეიკავა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში IDFI-ის მიერ შეთავაზებული ვალდებულებების აღებისგან, რომელიც ითვალისწინებდა ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით, ფედერაციების გამჭვირვალობის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას

და Play the Game-ის კრიტერიუმების დანერგვას. ასევე, სამინისტრო არ აღმოჩნდა მზად სპორტული ფედერაციებისათვის გაცემული სახელმწიფო დაფინანსების შესახებ ინფორმაციის და ფედერაციების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების თანმიმდევრული პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების აღებაზე. ამ ეტაპზე, სამინისტრომ გამოთქვა მზაობა მხოლოდ სპორტული ფედერაციების დაფინასების საერთო წესის შემუშავებასა და მის პროაქტიულ ხელმისაწვდომობაზე.

2021 წლის აპრილიდან, სამინისტროს გამოყოფისა და თეა წულუკიანის მინისტრად დანიშვნის შემდეგ, დაქვემდებარებულ უწყებებში რეფორმების განხორციელება დაიწყო, რომლებიც უწყებების რეორგანიზაციაში გამოიხატა. შედეგად, სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან გათავისუფლდა ათობით თანამშრომელი. **პროცესების საფუძვლად სახელდებოდა შიდა აუდიტისა და სახელმწიფო აუდიტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი მძიმე დარღვევები.** ამასთან, თანამშრომლები ხშირად საუბრობდნენ გათავისუფლებების პოლიტიკურ მოტივაციაზე. მაგალითად, ხელოვნების მუზეუმი სამინისტრომ მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადაიყვანა. პოზიციები შეუცვალეს და გაათავისუფლეს ამავე მუზეუმის თანამშრომლები. სამინისტრომ აღნიშნული პროცესების ერთ-ერთ საფუძვლად პარალელურად გამოქვეყნებული აუდიტის დასკვნა დაასახელა. თანამდებობიდან გათავისუფლდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი, გაგა ჩხეიძე, ხოლო კინოცენტრის შიდა აუდიტის დასკვნა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, პროკურატურას შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეგზავნა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ახალი მინისტრის გაუმჭვირვალე პოლიტიკის გათვალისწინებით, 2021 წლიდან კიდევ უფრო შესუსტდა სპორტული ფედერაციების ფინანსებისა და კორუფციის რისკების სამოქალაქო მონიტორინგის შესაძლებლობები. შესაბამისად, მსგავს უწყებებში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმირებულობის ერთადერთ წყაროდ შესაძლებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული აუდიტის ანგარიშები წარმოადგენდეს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური სპორტული ფედერაციების საქმიანობას 2018 წლიდან სწავლობს და დღეის მდგომარეობით, 4 სპორტული ფედერაციის აუდიტის ანგარიშია ხელმისაწვდომი. მათ შორის: რაგბის კავშირის, ქართული ჭიდაობის ფედერაციის, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციისა და ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის ანგარიშები.

წინამდებარე სტატიაში, რაგბის კავშირში განხორციელებული აუდიტის მაგალითზე, მიმოხილულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სპორტულ ფედერაციებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების და მასზე რეაგირების ეფექტიანობა. კერძოდ, დოკუმენტი მიმოიხილავს რაგბის კავშირში განხორციელებული აუდიტის პროცესს, აუდიტის ფარგლებში გამოვლენილ დარღვევებს და დღეის მდგომარეობით, დამდგარ შედეგებს. კვლევის მიზნებისთვის რაგბის კავშირის აუდიტი შეირჩა, აღნიშნული ფედერაციის დაფინანსების მოცულობიდან გამომდინარე. მაგალითად, 2021 წლის დეკემბერში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას, მინისტრმა, თეა წულუკიანმა ინფორმაციის სახით გააჟღერა, რომ „65 სპორტული ფედერაცია, ასევე კავშირები და ასოციაციები ჯამურად, საქართველოს ბიუჯეტიდან

98,600,000 ლარს იღებენ. აქედან ყველაზე მეტი დაფინანსება გაწერილია რაგბის კავშირისთვის, რომლის სამინისტროდან მიღებული ბიუჯეტი გახლავთ 27,500,000 ლარი".

აუდიტის პროცესის მიმოხილვა

2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა ა(ა)იპ რაგბის კავშირის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის 2014-2018 წლების შესაბამისობის აუდიტი.
დოკუმენტის მიხედვით, გამოვლინდა მრავალი დარღვევა. ამასთან, იდენტიფიცირებულია კონტროლის სისუსტეები უძრავი ქონების, დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების მართვასთან, შიდა კონტროლის და მონიტორინგის სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

საბოლოო ანგარიშის გამოქვეყნებამდე და მას შემდეგაც, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს კომუნიკაცია ჰქონდა რაგბის კავშირთან. IDFI-ის მიერ აუდიტის სამსახურიდან გამოთხოვილი მიმოწერის ასლების საფუძველზე ირკვევა, რომ აუდიტის სამსახურმა თავდაპირველად რაგბის კავშირის აუდიტის განხორციელება 2016-2017 წლების პერიოდზე დაიწყო, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული პერიოდი ორჯერ შეცვალა და საბოლოოდ, კავშირს 2014-2018 წლების აუდიტორული შემოწმების განხორციელების შესახებ აცნობა.

2019 წლის ოქტომბერში რაგბის კავშირმა აუდიტის სამსახურს წერილით მიმართა, სადაც აღინიშნა, რომ მიუხედავად შემოწმების დასრულებიდან 3 თვის გასვლისა, სამსახურს არ წარმოუდგენია აუდიტის პროექტი და შეკითხვები, რომელიც გაჩნდა აუდიტის მიმდინარეობის პროცესში და მიმართა თხოვნით, უმოკლეს ვადებში შემდგარიყო მსგავსი კომუნიკაცია.

2019 წლის დეკემბერში კავშირს გადაეგზავნა პირველადი დასკვნა, რაზეც მათ წარმოადგინეს შენიშვნები. რაგბის კავშირი აუდიტის სამსახურის მიერ აღმოჩენილი დარღვევების უმეტესობას არ დაეთანხმა. მაგალითად, შრომის ანაზღაურების ნაწილში (სურათი #1), რაგბის კავშირმა ჩათვალა, რომ დასკვნა შრომითი ხელშეკრულებების არარსებობის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურებისთვის ხელშეკრულებებს წარადგენენ ზემდგომ სამინისტროში. სამუშაო დროის აღრიცხვის პრობლემასთან დაკავშირებით, კავშირის პასუხის მიხედვით, შეუძლებელია ასეთი დროების განსაზღვრა და აღრიცხვა, რადგან საწვრთნელი პროცესი ძალიან ხშირად იცვლება. 2015 წლის მსოფლიო თასისათვის მზადების პროცესში ზედმეტად გადარიცხულ თანხებთან დაკავშირებით, კავშირის პოზიციაა, რომ ასეთი ხარჯები ბიუჯეტის სახსრებიდან არასდროს დაფინანსებულა, **შესაბამისად აუდიტის შემოწმების ფარგლებს სცდება**.

შრომითი ხელშეკრულებების არარსებობა გახლავთ პირველად დასკვნაში ჩაწერილი პირველი ამკარა ტყუილი. ამის გასაბათილებლად საკმარისია მოვიყვანოთ ერთადერთი არგუმენტი - რაგბის კავშირი იმ თანამშრომლების შრომის ანაღზაურებისთვის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, წარადგენენ ზემდგომ სამინისტროში ყველა ხელშეკრულებას, რომელთა წარუდგენლობა არათუ აფერხებს თანხის მიღებას, არამედ შეუძლებელს ხდის.

ცალკეულ პოზიციაზე თანამშრომელთა რიცხოვნების დაუსაბუთებლობა რას ნიშნავს სახელმწიფო აუდიტისთვის, ან რა ნორმატივით რეგულირდება, ამის შესახებ აუდიტის პირველადი დასკვნა დუმს.

სამუშაო დროის აღრიცხვა - არ გვგონია რომ რაგბის კაშირი ფაბრიკა ან ქარხანა იყოს და ტაბელის გადაბრუნებით ან დაზგასთან გატარებული საათებით თუ დამზადებული ნაკეთობით უნდა გაკონტროლდეს მწვრთნელის მიერ განსაზღვრული საწვრთნელო პროცესი, რომელიც მუდმივად ცვალებადია შეჯიბრების პერიოდის, აღდგენის თუ შეკრებების პერიოდების გათვალისწინებით და არათუ წლის, არამედ თვის და ხშირად კვირის განმავლობაშიც განიცდის ცვლილებებს. როგორც ჩანს რაგბის კავშირის ნაკლოვანებაა, რომ არავინ გვყავს სამუშაო დროის დამთვლელი, რომელიც გააკონტროლებდა ყველა სპეციალისტის მუშაობას. ირონიის გარეშე ძნელია შენიშვნა გამოითქვას ამგვარ „სიბრძნეზე", რომელიც ისევე როგორც პირველად დასკვნაში მოყვანილი სხვა მარგალიტები, მოკლებულია საკნონმდებლო დასაბუთებას.

სამსახურებრივი შეთავსებები - შემმოწმებელი ვერ გაერკვა იმ ელემენტურ საკითხში, რომ საქართველოს რაგბის კავშირი არის კერძო სამართლის სუბიექტი და მასზე არ ვრცელდება საჯარო სამსახურის შეზღუდვები და აკრძალვები.

2015 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების პერიოდში ზედმეტად გადახდილი თანხა - ზედმეტად გადახდილი თანხები, ეს იქნება მსოფლიო ჩემპიონატისთვის თუ სხვა ტურნირებისთვის, არასოდეს აუნაზღაურებია სახელმწიფო ბიუჯეტს და არც რაგბის კავშირს მოუთხოვია მათი ანაზღაურება. ცხადია, რომ ამ ნაწილშიც აუდიტი გასცდა უფლებამოსილების ფარგლებს.

სურათი #1

მიწის ნაკვეთების დაბალ ფასად რეალიზაციაზე, რაგბის კავშირი აუდიტის სამსახურს სწერს, რომ რეალიზაციის თანხა მიწის სერთიფიცირებული შემფასებლის დასკვნით განსაზღვრულ ღირებულებას აღემატებოდა. ამასთან, აღნიშნავს, რომ ამ საკითხის შემოწმებაც სცდება აუდიტის შემოწმების ფარგლებს (სურათი #2).

2. **მიწის ნაკვეთების რეალიზაცია**

მიწის ნაკვეთები არ გახლავთ არც სახელშეკრულებო ვალდებულებები და სესხი, რომელთა გარანტად დგას სახელმწიფო, არც საბიუჯეტო ან სახელმწიფო ფონდების კუთვნილი თანხები, და არც რაიმე ფორმით სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრება.

არც ერთ მიწის ნაკვეთს არ გააჩნდა სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულებები.

საყურადღებოა, რომ შემმოწმებელმა არც ტყუილი ითაკილა (შეფასების არქონა) და ისე, რომ არც კი შეეცადა დაესაბუთებინა, დაასკვნა, რომ მიწის რეალიზაცია მოხდა დაბალი ფასით და დაიკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის კომპეტენციას აღემატება ამ საკითხზე მსჯელობა, საკითხავია რამ აიძულა შემმოწმებელი ასეთი დამახინჯებული დასკვნა გამოეტანა, მაშინ როდესაც მიწის სერტიფიცირებული შემფასებლის დასკვნით განსაზღვრულ ღირებულებას აღემატება მიწის რეალიზაცით მიღებული თახის ოდენობა (გლდანის მიწა). ეს ერთ შემთხვევაში, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ე.წ. მზიურის მიწაზე დადებულია გარიგება, რომლის რეალური პესიმსტური საპროგნოზო ღირებულება სწორედაც რომ შესაბამისობაშია მიწის შეფასებით ღირებულებასთან, ხოლო ოპტიმისტური საპროგნოზო ღირებულება (რაც აბსოლუტურად რეალურია) მნიშვნელოვნად აღემატება მას.

აშკარაა, რომ შემმოწმებელი არა მხოლოდ არაკომპეტენტურია, არამედ ნეგატიურად ტენდენციური და მის მიზანს რაგბის კავშირის საქმიანობის დამახინჯება და მისი ხელმძღვანელების რეპუტაციის შელახვა წარმოადგენს.

სურათი #2

შესყიდვების კუთხით გამოვლენილ ორ დარღვევაზე, კავშირის შენიშვნების წერილში ვკითხულობთ, რომ ფასთა გამოკითხვა არ ჩაუტარებია, თუმცა კვების მომსახურების შესყიდვის არაეკონომიურ ხარჯად შეფასება უსაფუძვლოა, რადგან მათ წარადგინეს სტატისტიკის სამსახურის მიერ დადგენილი საშუალო საცალო საბაზრო ფასები.

სამედიცინო მომსახურების შემთხვევაში კი კონკრეტული კლინიკის არჩევა დაასაბუთეს წინარე გამოცდილებებით, თუმცა აღნიშნეს, რომ შესყიდვის ფასების სრულყოფილად კონტროლის მიზნით კავშირში გატარდება აუდიტის რეკომენდაციებში მითითებული ღონისძიებები. დაუდასტურებელ ხარჯებზე რაგბის კავშირი წერს, რომ ნაკრების მენეჯერებზე, ან სხვა თანამშრომლებზე არასოდეს გაუცია თანხა საქვეანგარიშოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, ამასთან, ეს ხარჯები აუცილებლად გასაწევია და საკუთარი შემოსავლებიდან ფინანსდება.

ანალოგიურად, მივლინებებისათვის ზღვრული ნორმების ზევით თანხების გაცემაზე და სპორტული კლუბების კომპენსაციაზეც, კავშირი აღნიშნავს, რომ ეს ხარჯები არასდროს დაფინანსებულა ბიუჯეტის სახსრებით.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ანგარიშის გამოქვეყნებამდე, რაგბის კავშირმა დოკუმენტთან დაკავშირებით საჩივრით მიმართა აუდიტის სამსახურს, რომლითაც ითხოვდა შესაბამისობის აუდიტის ნაწილობრივ გაუქმებას. საჩივარი ეფუძნებოდა ორ ძირითად არგუმენტს: აუდიტის სამსახური გასცდა უფლებამოსილებას არასაბიუჯეტო ხარჯების შემოწმებით; 2. დასკვნა შეიცავდა მცდარ დასკვნებს (იხ. რაგბის კავშირის შენიშვნები). აუდიტის სამსახურმა საჩივარი არ დააკმაყოფილა. აღნიშნულის საფუძვლად კი მიუთითა, რომ აუდიტორული შემოწმების ფარგლები საჯარო ფინანსური ინტერესის/გავლენის დომინანტობის პრინციპს ეფუძნება, რომლის თანახმად, აუდიტორულმა შემოწმებამ შეიძლება მოიცვას ა(ა)იპ-ის მთლიანი საფინანსო საქმიანობა, თუ ორგანიზაცია კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო ამოცანებს ასრულებს ან ორგანიზაციის მიერ გამოყენებული სუბსიდია მის შემოსავალსა ან კაპიტალთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ 2014–2018 წლებში რაგბის კავშირის მიერ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება მისი მთლიანი შემოსავლების 70 პროცენტს შეადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდიუმმა მიიჩნია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს რაგბის კავშირის მთლიანი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აუდიტი. რაც შეეხება მცდარი დასკვნების არგუმენტს, აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, რაგბის კავშირმა ვერც ერთ შემთხვევაში დასკვნის სიმცდარის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.

აუდიტის მიერ გამოვლენილი დარღვევების მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ რაგბის კავშირში ჩატარებული შესაბამისობის აუდიტის საბოლოო ანგარიში **2020 წლის 28 იანვარს** დამტკიცდა ისე, რომ მასში ასახული არ იქნა რაგბის კავშირის მიერ წერილობით, თუ საჩივრის სახით წარმოდგენილი შენიშვნები. ამასთან, აუდიტის სამსახურმა აუდიტორული შემოწმების ანგარიში შესაბამისი რეაგირების მიზნით პროკურატურას გადაუგზავნა. საბოლოო ანგარიში მოიცავდა შემდეგი ძირითადი დარღვევების შესახებ ინფორმაციას:

- **დარღვევები შრომის ანაზღაურებაში**

რიგ შემთხვევებში **საბიუჯეტო დაფინანსებით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით არ იყო განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაო**, რაც კავშირის სხვა ოფიციალური დოკუმენტებითაც არ იყო დადგენილი. ცალკეულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დასაქმებულ პირებთან, რომელთა შრომის ანაზღაურების დაფინანსების წყაროა არასაბიუჯეტო სახსრები, არ იყო გაფორმებული წერილობითი შრომითი ხელშეკრულებები. შესაბამისად, არ იყო განსაზღვრული შრომითი ურთიერთობის ისეთი არსებითი პირობები, როგორიცაა: თანამდებობა (პოზიცია), შესასრულებელი სამუშაო, შრომის ანაზღაურების ოდენობა და სხვა.

ადმინისტრაციული პერსონალის მიხედვით არ აღირიცხებოდა სამუშაო დრო, რომელიც შრომის ანაზღაურების დარიცხვის საფუძველია. შედეგად, იყო შემთხვევა, როდესაც საზღვარგარეთ (არასამსახურებრივი მიზნით) მყოფ პირზე ამავე პერიოდში დაირიცხა და გაიცა შრომის ანაზღაურება, ხელფასის სახით.

სამუშაო დროის **სრულ განაკვეთზე დასაქმებული 140 პირიდან – 79 ანაზღაურებად შრომით საქმიანობას ეწეოდა რამდენიმე ორგანიზაციაში ერთდროულად**. ასევე იყო შემთხვევები, როცა კავშირში სრულ განაკვეთზე სამუშაო რეჟიმით მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე დასაქმებული პირები ერთდროულად დასაქმებული იყვნენ კავშირში სხვა ანაზღაურებად პოზიციაზე, რაც სუსტი შიდა კონტროლის სისტემის პირობებში **ქმნიდა ფიქტიური შრომითი საქმიანობის ანაზღაურების რისკებს.**

2015 წელს „მსოფლიო თასისათვის“ მზადების პერიოდში დამხმარე პერსონალზე ე.წ. **დღიური ხარჯის სახით, ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 190,390 ლარი**.

- **დარღვევები შესყიდვებში**

შესყიდვის პროცესს და ამ პროცესში არსებულ კონტროლის მექანიზმებს თან სდევდა ნაკლოვანებები და შეუსაბამობები. კერძოდ, შესამოწმებელ პერიოდში კვებითი მომსახურების და სხვადასხვა სახის ინვენტარის შესყიდვისას, **მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა ხდებოდა ბაზრის კვლევის და შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვა/ანალიზის გარეშე**.

კვების მომსახურების შესყიდვა ხორციელდებოდა დაკავშირებული პირისგან. მაგალითად, 2017 წლის დეკემბერში “შევარდენის” საწვრთნელ ბაზაზე კვებითი მომსახურების მიწოდებაზე ხელშეკრულება გაფორმდა შპს “მესერ +”-თან, რომელიც კავშირში დასაქმებული პირების მიერ ხელშეკრულების დადებამდე 2 თვით ადრე დაფუძნდა. კომპანიის მიერ კვების მომსახურების ერთეულის ღირებულება 60 ლარს შეადგენდა, ხოლო მანამდე არსებული კომპანიები, იმავე მომსახურებას რაგბის კავშირს 54 ლარად აწვდიდნენ, კავშირმა კი ფასის ზრდის დასასაბუთებლად აუდიტს დოკუმენტები ვერ წარუდგინა. 2018 წელს შპს “მესერი +”-ს მომსახურება მხოლოდ რაგბის კავშირისთვის ჰქონდა გაწეული, საიდანაც შემოსავლის სახით 500,000 ლარზე მეტი მიიღო. აღნიშნული შემოსავლის 45% კი ხელფასის სახით იმ თანამშრომლებზე გაიცა, რომლებიც პარალელურად რაგბის კავშირში იყვნენ დასაქმებულები.

2017 წლის რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს „მესერ +“-ის მეწილეები იყვნენ ილია მაისურაძე, ირაკლი ჭყონია და გიორგი ლომინაძე. ილია მაისურაძე ნაკრების შერკინების მწვრთნელი და უმცროსი ბორჯღალოსნების (U20) მთავარი ნაკრების მწვრთნელია. ირაკლი ჭყონია კი რაგბის კავშირის ფიზმომზადების დეპარტამენტის ხელმძღვანელია. გიორგი ლომინაძე ყოფილი მორაგბეა.

საინტერესოა, რომ აუდიტის სამსახურის მიერ მოწოდებული მიმოწერის თანახმად, დასკვნის პირველადი ვერსია რაგბის კავშირს 2019 წლის 17 დეკემბერს გაეგზავნა, რის შემდეგაც 2020 წლის 10 იანვარს კომპანიის წილებში ცვლილება განხორციელდა, ილია მაისურაძემ და ირაკლი ჭყონიამ კუთვნილი წილები უსასყიდლოდ გადასცეს გიორგი ლომინაძეს.

შედეგად, მიწოდებულ მომსახურებაზე ჩამოყალიბდა არასაბაზრო, მაღალი ფასი. მხოლოდ 2018 წელს აღნიშნული მომსახურების ერთეულზე ფასის ზრდის გამო, არაეკონომიურმა ხარჯმა შეადგინა 50,090 ლარი. გარიგების ფასის არასაბაზრო ბუნებას ადასტურებდა ასევე მიმწოდებელი კომპანიების მიერ გაწეული მომსახურების თვითღირებულების სტრუქტურაში ე.წ. არაპირდაპირი, ზედნადები „შრომითი დანახარჯების“ არაადეკვატურად მაღალი ხვედრითი წილი.

შესამოწმებელ პერიოდში სამედიცინო მომსახურების შესყიდვა განხორციელდა კავშირთან აფილირებული პირისგან, რამაც გაზარდა არარეალური მომსახურების ანაზღაურების რისკი. კერძოდ, კავშირის მიერ კლინიკისათვის ანაზღაურებულია მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ფარგლებში ფიზიკური პირის მიერ შესრულებული ოსტეოპათის მომსახურება, ღირებულებით – 102,569 ლარი, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში აღნიშნულ პირს, ცალკე გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, კავშირმა აუნაზღაურა იმავე სახის მომსახურების ღირებულება – 228,044 ლარის ოდენობით. აუდიტის მიხედვით, აღნიშნული კომპანია - შპს „სპორტული მედიცინის კლინიკა” კავშირის მოქმედი თანამშრომლების მიერ 2014 წელს დაფუძნდა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, მორაგბეებისათვის გაწეული შესაბამისი სამედიცინო მომსახურეების ანაზღაურების მიზნით, კავშირმა 2015-2018 წლებში გადაიხადა ჯამში 425,185 ლარი. კლინიკა სამედიცინო მომსახურებას ახორციელებდა თბილისში „შევარდენის“ სარაგბო ბაზაზე, კავშირის საკუთრებაში არსებულ 142 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობაში და საქმიანობისას გამოყენებული სამედიცინო აპარატურის ნაწილი თავად კავშირის საკუთრება იყო. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მოცემული პირებისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების საჭიროების, ასევე მომსახურების ხასიათის (გეგმური, გადაუდებელი) შესახებ. კომპანია 2014 წელს ნოდარ ანდღულაძემ დააფუძნა. ის ყოფილი მორაგბეა, ამჟამად კი მედიის ინფორმაციით, რაგბის კავშირის სოციალური პროექტების მენეჯერია.

დაფუძნებიდან რამდენიმე დღეში კომპანიის მეწილეები ასევე გახდნენ მერაბ კვირიკაშვილი - საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი და ლაშა ხმალაძე - საქართველოს ნაკრების მოქმედი წევრი. კომპანიის მეწილეებში ბოლო ცვლილებები რაგბის კავშირის აუდიტორული შემოწმების დასკვნის გამოქვეყნების (09.03.2020) შემდეგ, 2021 წელს განხორციელდა, რომლის მიხედვითაც კომპანიის 50%-ს ნოდარ ანდღულაძე აღარ ფლობს, მან 40% ირინა ბერაძეს მიჰყიდა, ხოლო 5-5% მერაბ კვირიკაშვილსა და ლაშა ხმალაძეს, რის სანაცვლოდაც ჯამში 1000 ლარი მიიღო.

➔ **დაუდასტურებელი ხარჯები**

ნაკრებების მენეჯერებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებზე საქვეანგარიშოდ, წარმომადგენლობითი და ნორმის ზემოთ **მივლინებების სახით გაცემულ 404,476 ლარზე, ანგარიშვალდებული პირების მიერ არ იყო წარმოდგენილი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები**.

➔ **დარღვევები მივლინებებში**

ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართულ ღონისძიებებზე კავშირის დელეგაციის წევრებისთვის სამივლინებო ხარჯები დაანგარიშებული და ანაზღაურებული იყო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი ზღვრული ნორმების ზევით. ქვეყნის შიგნით მივლინებების დროს იყო შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა ქალაქში გამართულ ღონისძიებებზე სადღეღამისო თანხები გაცემული იყო ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების გარეშე, სასტუმროს ინვოისების შეუსაბამოდ. **2017-2016 წლებში ზედმეტად ანაზღაურებულმა სამივლინებო თანხებმა შეადგინა 56,603 ლარი**.

➔ **დარღვევები სპორტულ კლუბებზე კომპენსაციის გაცემისას**

2018 წელს არსებული წესის შეუსაბამოდ, დიდი 10-ის **რვა სარაგბო კლუბზე კომპენსაციის სახით ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 43,500 ლარი**.

➔ **დარღვევები მიწის ნაკვეთების რეალიზაციისას**

შესამოწმებელ პერიოდში კავშირის მიერ 4 მიწის ნაკვეთის (საერთო ფართობი – 23,591კვ.მ.) რეალიზაცია განხორციელდა არაკონკურენტულ საფუძველზე, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვის, შეფასების (საბაზრო ღირებულების დადგენის) გარეშე. აღნიშნულმა განაპირობა მოცემულ უძრავი ქონებაზე არასაბაზრო გარიგების ფასის ჩამოყალიბება, რის შედეგად დაიკარგა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა რეკომენდაციები როგორც რაგბის კავშირის, ისე მაშინდელი განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართ. **რეკომენდაციები** მოიცავდა ზედმეტად გადახდილი თანხების უკან დაბრუნებას ყველა გამოვლენილ შემთხვევაში, ამასთან ისეთი შიდა რეგულაციების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფდა სუსტი კონტროლის მექანიზმების აღმოფხვრასა და დარღვევების მომავალ პრევენციას. მათ შორისაა:

- ადამიანური რესურსების მართვის ისეთი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს საწესდებო საქმიანობის რელევანტური, ოპტიმალური და სამართლიანი საშტატო განრიგის ფორმირებას, სამუშაოზე აყვანის პროცესის გამჭვირვალობას.

- სამუშაო დროის აღრიცხვის მიზნით ისეთი კონტროლის მექანიზმების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების მატერიალური საფუძვლების შექმნას.
- კავშირის მიერ საქონლის და მომსახურების შესყიდვა განხორციელება ბაზრის კვლევის ეტაპზე ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზის და შეფასების საფუძველზე.
- კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით აქტივების (მათ შორის, დებიტორული დავალიანების) ინვენტარიზაციის განხორციელება და მისი შედეგების შეფასების საფუძველზე მათი ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა.
- სამინისტროს: ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების დანერგვით უზრუნველყოფილ იქნეს კავშირზე გადაცემული საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა. ასევე, გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს დადგენილ ვადებში ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას და დავალიანების ურთიერთშედარებას.

აუდიტის შედეგებზე რეაგირება

დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, სამსახურმა მიმართა რაგბის კავშირს, რათა შეემუშავებინა ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. 2020 წლის 17 თებერვალს კავშირმა აუდიტის სამსახურს მიაწოდა რეკომენდაციების შესრულების მიზნით პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებები, რომლებიც მოიცავდა:

- გამოტოვებული მატჩების გამო კლუბებისათვის გასაცემი თანხების დაქვითვის შესახებ ბრძანებას.
- კავშირის თანამშრომლების ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სამივლინებო ხარჯებზე ზენორმატიული თანხების გაწერის აკრძალვის, არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან დასაბუთების შემთხვევაში ზენორმატიული სამივლინებო ხარჯების გაწევის დაშვების შესახებ ბრძანებას.
- კავშირის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის წესების მოწვეულ სპეციალისტთან ერთად შემუშავებისა და ამ მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის მიმართვის შესახებ.
- რაგბის კავშირის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ ბრძანებას, რომელიც მოიცავს ოპტიმალური საშტატო განრიგისა და პირთა შესაბამისობის განსაზღვრას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში, დასაქმებულთა ხელშეკრულებებში ზუსტი სამუშაო დროის, შრომის აღწერილობის, პირობებისა და პასუხისმგებლობების ასახვას.

2020 წლის 18 თებერვალს რაგბის კავშირმა აუდიტის სამსახურს გაუგზავნა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად იყო მითითებული თითოეული რეკომენდაციის შესრულების ვადები. მოგვიანებით, კავშირმა აუდიტის სამსახურს შეატყობინა,

რომ სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით რეკომენდაციების შესრულება კოვიდ პანდემიისას დაწესებული შეზღუდვების გამო ვერ განხორციელდებოდა. აუდიტის სამსახურიდან მიღებული ოფიციალური მიმოწერის ასლებით დგინდება, რომ მას შემდეგ, რაგბის კავშირსა და აუდიტის სამსახურს შორის კომუნიკაცია აღარ შემდგარა.

რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად, IDFI-მ წერილით მიმართა როგორც რაგბის კავშირს, ისე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია რაგბის კავშირის მიერ 2017-2021 წლებში სამინისტროსათვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშების, დამტკიცებული ბიუჯეტების და მათი შესრულების ანგარიშების, აუდიტორული შემოწმებების ანგარიშების, სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების შესრულების მიმდინარე სტატუსის შესახებ და ა.შ. სამწუხაროდ, არც ერთი უწყებიდან, წინამდებარე ანალიზის გამოქვეყნების მომენტისთვის, პასუხი არ მიგვიღია. შესაბამისად, რთულია დასკვნების გამოტანა, თუ რა ნაბიჯებია გადადგმული იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრის მიმართულებით.

დამატებით, IDFI-მ საქართველოს პროკურატურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ პროკურატურაში გაგზავნილ „ა(ა)იპ რაგბის კავშირის მიერ საბიუჯეტო ხარჯვის 2014-2018 წლების შესაბამისობის აუდიტის“ ანგარიშთან დაკავშირებით დაწყო თუ არა სისხლის სამართლის საქმისწარმოება და რა შედეგები დადგა. პროკურატურის პასუხის თანახმად, აღნიშნული ინფორმაცია დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, რის გამოც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას მოგვაწოდონ მსგავსი ინფორმაცია. ამავე დროს, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით ირკვევა, რომ საქართველოს პროკურატურამ 2020 წლის 2 მარტს აუდიტის სამსახურის მიერ მიწოდებული მასალების საფუძველზე რაგბის კავშირში ქონების მითვისება-გაფლანგვისა და ამავე ორგანიზაციაში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო, თუმცა რა შედეგით დასრულდა ეს გამოძიება დღემდე უცნობია.

საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე პროაქტიულად ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტისა და საპროკურორო საბჭოსათვის პროკურატურის მიერ წარდგენილი წლიური ანგარიშები. საპროკურორო საბჭოსთვის წარდგენილი 2021 წლის საქმიანობის ანგარიშიდან ირკვევა, რომ 2020 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან პროკურატურამ მიიღო 28 ანგარიში, რომელთა საფუძველზე, გამოძიება დაიწყო 24 სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 პირის მიმართ, ხოლო პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 14 პირის მიმართ. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკა და არ არის იდენტიფიცირებადი რომელი უწყებების აუდიტის ანგარიშის გამოძიებისას რა კონკრეტული შედეგი დადგა.

აუდიტის პარალელურად რაგბის კავშირში განვითარებული მოვლენები

სპორტულ ფედერაციებში საბიუჯეტო სახსრების გაუმჭვირვალე განკარგვისა და სუსტი კონტროლის მექანიზმების პირობებში, ხშირია შიდა დაპირისპირებებიც. ფედერაციების ხელმძღვანელების ცვლილება/დანიშვნა ზოგ შემთხვევაში დაკავშირებულია პოლიტიკურ პროცესებთან.

ზემოთაღნიშნული ეხება რაგბის კავშირსაც, სადაც 2020 წლიდან კრიზისული პროცესები მიმდინარეობს. კერძოდ, 2020 წლის 30 იანვარს ჩანიშნული იყო რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები, თუმცა კანდიდატების მოთხოვნის საფუძველზე, არჩევნები გადაიდო. შემდგომი არჩევნები 24 თებერვალს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა კვორუმის არ არსებობის გამო, პრეზიდენტი ვერ აირჩიეს. წესდების მიხედვით, მომავალი არჩევნები მარტში უნდა გამართულიყო, თუმცა კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და არჩევნები კვლავ ვერ შედგა.

შემდგომი ყრილობა გაიმართა 10 თვის შემდეგ, 2020 წლის დეკემბერში, სადაც რაგბის კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს ირაკლი აბუსერიძე. 2021 წლის თებერვალში საჯარო რეესტრმა დაახარვეზა აბუსერიძის რაგბის კავშირის პრეზიდენტად რეგისტრაციის პროცედურა და მისცა დრო ხარვეზის აღმოსაფხვრელად, 8 თებერვალს კი საბოლოოდ უარი უთხრა რეგისტრაციაზე. აბუსერიძემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში. როგორც ცნობილია, 2021 წლის მარტის შემდეგ, სასამართლო სხდომა არ ჩანიშნულა. 10 მარტს ხელახალი ყრილობა ჩატარდა, სადაც პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი სოსო ტყემალაძე იყო და შესაბამისად, პრეზიდენტად ის აირჩიეს. ყრილობა, რომელსაც ირაკლი აბუსერიძემ ბოიკოტი გამოუცხადა დაპირისპირების ფონზე გაიმართა. 11 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე აბუსერიძის მხარდამჭერებმა აღნიშნეს, რომ გარდა სამართლებრივი მექანიზმებისა გამოიყენებდნენ პროტესტის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის დაუმორჩილებლობას. პრესკონფერენციაზე აბუსერიძემ ასევე განაცხადა, რომ გეგმავდნენ

დიპლომატებისა და რაგბის საერთაშორისო ფედერაციისთვის მიმართვას და პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

რაგბის კავშირის პრეზიდენტად სოსო ტყემალაძის არჩევის შემდეგ, მედიაში გამოჩნდა ინფორმაცია მისი და ბიძინა ივანიშვილის შესაძლო კავშირების შესახებ. კერძოდ, ნეტგაზეთის ინფორმაციით, ის ბიზნესმენია და ჩართულია აბასთუმნისა და წყალტუბოს პროექტებში, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება. ამავე წყაროში საუბარია რაგბის თემით ივანიშვილის დაინტერესებაზე და პოლიტიკაში მოსვლამდე ამ სპორტში მის მიერ განხორციელებულ 100 მლნ ლარზე მეტი თანხის კონტრიბუციაზე.

საინტერესოა, რომ საჯარო რეესტრმა არც ირაკლი აბუსერიძის მიერ წარდგენილი გამგეობის წევრები დაარეგისტრირა. შესაბამისად, დარჩა ძველი გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შემდეგი პირები იყვნენ:

- გიორგი (გია) კობახიძე — „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მამა;
- ალექსანდრე გრიგალავა — მარტვილის მერი;
- ერეკლე ტრიპოლსკი — ყოფილი პარლამენტარი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირი;
- ლევან ვასაძე — ცნობილი ანტი-ლიბერალი ბიზნესმენი, პოლიტიკური პარტია “ერთობა, რაობა, იმედი - ერის” დამფუძნებელი.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ „ქართული ოცნების” პროპორციულ სიაში გამოჩნდა მორაგბე დავით კაჭარავა, რომელიც არჩევნების შემდეგ პარლამენტის წევრი გახდა. არჩევნებამდე, 2020 წლის 21 სექტემბერს კაჭარავა რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ის დღემდე აღნიშნულ პოზიციას იკავებს.

მნიშვნელოვანია, რომ რაგბის კავშირში არსებული დაპირისპირებისა და დარღვევებთან დაკავშირებული აუდიტის დასკვნის საფუძველზე უკვე დაწყებული გამოძიების ფონზე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ახალ სამინისტროსა და თავად მინისტრს, მკვეთრი ნაბიჯები არ გადაუდგამს და რაგბის კავშირში მიმდინარე მოვლენებზე საჯარო განცხადებაც არ გაუკეთებია. მეტიც, 2021 წლის 5 ივნისს თეა წულუკიანი რაგბის კავშირის ახალ პრეზიდენტს, სოსო ტყემალაძეს შეხვდა და რაგბის კავშირის პრეზიდენტს მიმდინარე სამუშაო პროცესში სრული მხარდაჭერა აღუთქვა და ქართული რაგბის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ამავე შეხვედრაზე, ტყემალაძე თავად გამოეხმაურა მინისტრის ინიციატივას ფედერაციებში ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რაგბის კავშირში ასეთი მექანიზმები ამოქმედდება.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის იანვრიდან რაგბის კავშირშიც დაიწყო თანამშრომლების გათავისუფლების პროცესი, თუმცა თავად თანამშრომლების მოსაზრებით, რეორგანიზაცია იმ პირებს შეეხოთ, რომელიც პრეზიდენტის არჩევნებში ირაკლი აბუსერიძეს უჭერდნენ მხარს და შედეგებს აპროტესტებდნენ.

სპორტულ ფედერაციებს შორის, რაგბის კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ყველაზე დიდი ოდენობით ფინანსდება. პარალელურად ამ სფეროში ბიძინა ივანიშვილის მიერ (საქველმოქმედო ფონდი "ქართუ") განხორციელებულია 100 მილიონი ლარზე მეტი ოდენობის კონტრიბუცია, ხოლო კავშირის ხელმძღვანელად ხმაურიანი პროცესების ფონზე აირჩიეს მასთან დაკავშირებული პირი, რაც აჩენს კითხვებს რაგბის კავშირის მმართველობაში პოლიტიკურ გავლენებზე.

დასკვნა

ზოგიერთი სპორტული ფედერაციის შესწავლის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზოგადად სექტორი გამოირჩევა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხით, გარე და შიდა კონტროლის სუსტი მექანიზმებით, ხშირად პოლიტიკურად მოტივირებული და სხვა ისეთი პროცესებით, რომელიც ეწინააღმდეგება კარგი მმართველობის პრინციპებს.

სპორტული ფედერაციების მონიტორინგის კუთხით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შესაძლებელია შეფასდეს 2018 წლიდან, მათზე ზედამხედველობის პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ჩართულობა. თუმცა, მისი სიხშირე (2018 წლიდან დღემდე, აუდიტის სამსახურმა 65 მოქმედი სპორტული ფედერაციიდან მხოლოდ 4-ის შემოწმება შეძლო), შეზღუდული უფლებამოსილება და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების გაუმჭვირვალე პრაქტიკა, კონტროლის დამატებითი მექანიზმის არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს. მაგალითად, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, ჯერ კიდევ 2020 წელს, რაგბის კავშირში გამოვლენილი საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი განკარგვის და კორუფციის სავარაუდო ფაქტებზე რეაგირების შედეგები.

სპორტულ ფედერაციებში, კარგი მმართველობის პრინციპების, თუ ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვის პერსპექტივას, ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ფედერაციებში, თუ მათ ზედამხედველ სამინისტროში მიმდინარე სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული პროცესები, რაც დაკავშირებულია ხელმძღვანელების არჩევაში ჩარევასთან, აუდიტის დასკვნების შერჩევითად გამოყენებასთან, საკადრო პოლიტიკასთან და სხვა.

აუცილებელია, სამინისტროს მხრიდან არსებობდეს ეფექტიანი კონტროლის მექანიზმები, რითიც უზრუნველყოფილი იქნება სპორტულ ფედერაციებზე გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა და მონიტორინგი, ასევე აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ეფექტური ზედამხედველობა.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20

+995 32 2 921514

INFO@IDFI.GE

WWW.IDFI.GE